საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია   № 308   1918 წ. კვირა, აგვისტოს 18.   № 308

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

მუღანლოს თათრებმა იარაღი ჩააბარეს.—გენ. სუმბათაშვილის ცნობით ლენხუმში თავმოყრილი ჯარი იმარჯვებს არხანგელსკთან ინგლისელებმა და მათმა მომხრეებმა ბოლშევიკებს უკან დაახევინეს.

კვირას, აგვისტოს 18-ს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

**მარიამ** (მარუსია) ივანეს ასული **მიქაძის**

სულის მოსახსენებლად და სამი წლის თავზე ტფილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის

**დიმიტრი (მიტუშას) ივანეს ძე მიქაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებული მშობლები ივანე როსტომის ძე და ივდითი მახარობლის ასული მიქაძენი და შვილები მათი ნიკოლოზ, თამარ, ნინო, გიორგი და ელენე. წირვა დაიწყება 11 საათზე. 862

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე პავლეს ასული, ლევან ბესარიონის ძე, ნატალია გრიგოლის ასული ქართველიშვილები, ანა პავლეს ასული არჩუაძისა, ივანე პავლეს ძე და ოლღა დავითის ასული გოგოლაშვილები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა: პირველისა ქალი, მეორესი და, მესამესი მული, მეოთხესი და მეხუთესი დისწული და უკანასკნელისა მულის შვილი

**ნ უ ც ა.**

პანაშვიდი დღეს $6^1/_2$ საათ. საკ. ბინაზე: რეუტოვის ქუჩა 15. გამოსვენება კვირას აგვისტოს 18-ს დილის 10 ს. ჩუღურეთის წმ ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 861

მიხეილ ალექსანდრეს ძე მამულიშვილი ცოლით, ძმებით, დებით და რძლებით ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ცოლის და

**ნ უ ც ა.**

პანაშვიდი დღეს, $6^1/_2$ ს. საკ. ბინაზე, რეუტოვის ქუჩა 15. გამოსვენება კვირას აგვისტოს 18-ს დილის 10 ს. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ დღეს წმ ნინოს სასაფლაოზე 861

ირაკლი მგალობლიშვილი აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

**ნინო ბესარიონის ასული ქართველიშვილი-მგალობლიშვილისა.**

დაკრძალვა კვირას აგვისტოს 18-ს 9 საათზე, რეუტოვის ქუჩა 15, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქიდან კუკიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 861

მშობლები, ცოლი და შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს აგვისტოს 20-ს, შუადღის 12 ს. სოფ. აკეთში (ოზურგეთის მ.) გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილ ბათომის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის

**მღვდელ დიომიდე ჩხაიძის**

სულის მოსახსენებლად. 871

გულდამწვარნი და მწუხარებაში მყოფნი ძმები, დები, რძლები და სიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ აგვისტოს 20-ს სამშაბათს დილის 10 საათზე ნუკრიანში წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ნიკოლოზ [ნიკო] ლუკას ძე მოსულიშვილის**

სულის მოსახსენებლად 870

დღეს, ქ. ჭიათურაში ასაფლავებენ ტუაფსესთან ბრძოლაში დაღუპულ ჯარის-კაცს

**გაგო ოთხმეზურს,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის მშობლები. 875

მეგობრები ვერაგულად მოკლულის

**პოენეტის დათიკო ბექანის ძის წერეთლისა**

გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას აგვისტოს 18-ს ნაშუადღევის ორ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 873

სამშაბათს, აგვისტოს 20-ს, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში

**დიმიტრი როსტომის ძის მელაძის**

საფლავზე გადახდილი იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ მეუღლე მისი მარიამ პავლეს ასული შვილებ-თ. 874

**მეორე ქართული კლუბი**

„ახალი საკრებულო" მიხეილის პროსპექტი № 129.

კვირას, აგვისტოს 18.

**გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა**

საქველ-მოქმედო მიზნით ფრიად საყურადღებო და საინტერესო პროგრამით.

დასაწ. საღ. 5 საათზე. 1278

კვირას, აგვისტოს 18-ს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბში დანიშნულია **ქართული მუსიკალური საზოგადოების** (ყოფილ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების) წევრთა

**არაჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება**

გამგეობის წევრთა, მათ კანდიდატთა და სარევიზო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევნებისათვის. 1273

კვირას, აგვისტოს 18 დილის 11 საათზე შესდგება **გორის სახოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა

**წლიური კრება**

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება, 2. წლიური ანგარიში (შემოსავალ-გასავალი), 3. წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა, 4. მომავალი გეგმა მოქმედებისა და ხარჯთაღრიცხვა, 5. ახალი წევრების მიღება, 6. ახალი გამგეობის არჩევა, 7. კომერციული განყოფილების ანგარიში, 8. მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება გორის ს. ხ. ს. მ. საზ. დარბაზში და რადგან ეს კრება ინიშნება მეორედ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს იგი კანონიერი იქნება.

1275 ს. ს. ს. მ. საზ. გამგეობა.



**დიდი ცირკი**

**ძმ. ეფიმოვებისა**

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, პარასკევს აგვისტოს 18-ს გაიმართება

**სადღესასწაულო წარმოდგენა**

მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობები: სლასტუშინსკი, ჟოკეი ვოლდემარი და სხვ.

877 მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი.

**ვასწავლი** ქართულ სიმღერა-გალობას როგორც ვაჟებს, ისევე ქალებსაც მიღება და ჩ წერვა **ალ. მაისურაძესთან.** სწავლა და მიღება გუნდში დაიწყება 10 აგვისტოდან ყოველ სამშაბათ-პარასკეობით საღამოს 6—8 საათ. მამადავითის ქუჩა № 25, სამოქალაქო სკოლაში. გამგე გუნდისა მ. ქავთარაძე. 871

**მდგომარეობის განმტკიცება**

ყოველი მომავალი ძნელი გამოსაცნობია. ასეთია რასაკვირველია, დღევანდელი ჩვენი რესპუბლიკის, აწინდელი დამოუკიდებელი საქართველოს ბედი. დიდ ქარცეცხლში ვართ მოქცეული და აბა როგორ გამოვიცნოთ, საიდან რა დაგვატყდება თავს, საიდან შეგვეკრება გზა და საით გაგვეხსნება... მაგრამ ერთი რამ ყოვლად უეჭვო და ცხადია: ყოველი განვლილი დღე ჩვენის დამოუკიდებელი არსებობისა თავდებია იმის, რომ ჩვენს სიცოცხლეს კიდევ მოემატა ასი და მეტი დღე. დამოუკიდებლობა თავისთავად, როგორც ფაქტი, რეალური მოვლენა, ჰქმნის აუცილებელ პირობებს თავის განმტკიცებისათვის. საქართველოს რესპუბლიკა რომ არსებობს, ამას ეგუება როგორც თვითონ ქართველი ხალხის, ისე გარეშეთა სულიერი აგებულობა და რაც უფრო მეტი დრო გაივლის დღიდან ჩვენის თავისუფლების გამოცხადებისა, მით უფრო შეუძლებელი შეიქნება ამ თავისუფლების მოსპობა.

ამიტომ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს იქითკენ მიქცეული, რომ რაც უნდა გაგვიჭირდეს და გაგვიძნელდეს ნორჩი რესპუბლიკის გაძღოლა და მოვლა, უნდა გავსძლოთ, უნდა ავიტანოთ ყველაფერი, დღე დღეს მივუმატოთ, თვე-თვეს და მალე დავინახავთ, რომ ჩვენმა დამოუკიდებლობამ მაგრად გაიდგა ფესვები და მის წაქცევას, წესის აგებას და ბოროტს დაცინვას ვეღარავინ გაბედავს.

დაცვა, გაგრძელება თავისუფალ არსებობისა, საქართველოს სახელმწიფოებრივობისა, რადაც უნდა დაგვიჯდეს—ამით უნდა განიმსჭვალოს ყველა, ვისაც მართლა მეუგნია ღირსება თავისუფალ სიცოცხლისა და ვისთვისაც ეროვნება არაა მშრალი, უშინაარსო სიტყვა, არამედ წყაროა უდიდესი შემოქმედებისა და განვითარების. ყოველი დალამებული დღე იმედს უნდა გვიმატებდეს და გვაძლევდეს იმის რწმენას, რომ ხვალინდელი დღე უფრო იოლი იქნება, რომ ხვალ უფრო დღეგრძელი და მკვიდრი გახდება ჩვენი რესპუბლიკა.

ბევრჯერ თქმულა და ეს ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გაიხორციელება საშინელ პირობებშია. არ იქნება გადაჭარბება, თუ ძალთა შედარებითს განწყობილებას მივიღებთ მხედველობაში და ვიტყვით: საფრანგეთის გასაჭირი დიდი რევოლუციის დროს არ იყო უარესი ჩვენის დღევანდელის მდგომარეობისა. განა ნაკლებ საშიშროებს წარმოადგენს ჩვენთვის ყოველმხრივ მტრების თავდასხმა და შინაური ამბოხება ხან ერთს, ხან მეორე ალაგას, ვიდრე წარმოადგენდა ფრანგებისთვის მთელი ევროპის გალაშქრება, ვანდეა და სხვა ადგილების აჯანყება?

ჩვენი ვითარება კიდევ მით არის უფრო საშინელი, რომ ჩვენ სახელმწიფოს ახლად ვაშენებთ, ეროვნულ თავისუფლებას ახლა ვჭედავთ, და საფრანგეთს კი ყოველივე ეს ჰქონდა, ჰქონდა სახელმწიფოებრივი გამოცდილება და ძლიერი კულტურაც, ამისათვის ცხადია რომ მეტის მეტად გვიძნელდება სახელმწიფოს გამართვა და მისი თავისუფლების დაცვა. იშვიათად, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო შობილა ისეთ აუტანელ პირობებში, როგორშიაც იბადება და შენდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა!

მაგრამ გულმაგრად მხნედ უნდა შევხვდეთ ყველაფერს ამას: მარტონი და ცარიელნი არა ვართ, შემოვიკრიბოთ მთელი ჩვენი მოდგმის ათას წელთა გმირობა და შეუპოვარი სული, რომელმაც არა ერთი ბორკილი დაამსხვრია, არა ერთი დაუძლეველთ დაბრკოლება სძლია და არა ერთის ცეცხლისა და ჯოჯოხეთიდან გამოიტანა თავისი სახე შეულახავი და წმინდა, შემოვუერთოთ შეუდრეკელი იმ მამების და ძმების, რომლებიც ისე გაუ-

**ტფილისი, აგვისტოს 18**

**კომიტეტების გაუქმება**

დღეს ჩვენი საზოგადოების და პარლამენტის ყურადღება კომიტეტების გაუქმებისაკენ არის მიპყრობილი. აქა-იქ თვით დემოკრატიამ გააუქმა კომიტეტები. ამ ჟამად განზრახულია საზოგადოდ გადასწყდეს ეს საკითხი და ამ რიგად მართველობაში დამყარდეს ნორმალური წესები.

მაგრამ ვიდრე ამ საგანზე გამოვთქვამდეთ ჩვენს აზრს, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა რამ იმ წარსულზე მოვიგონოთ, რომლის წიაღში აღმოცენდა საზოგადოდ ინსტიტუტი კომიტეტთა მართველობისა.

კომიტეტების დაარსებას მჭიდრო კავშირი აქვს რევოლიუციასთან. როცა ძველი მართველობის აპარატი მოიშალა, საჭირო იყო სრული რეორგანიზაცია მართვა-გამგეობის, შტატებისა და ამ საქმის შემსრულებელი არავინ იყო, ხოლო მოვალეობის შესრულება იკისრა თვით დემოკრატიამ არჩეულ კომიტეტების საშუალებით. კომიტეტი ყველგან, ყოველ დაწესებულებასთან დაარსდა. აქედან ცხადია თუ რამდენად აუცილებელი ყოფილა ის, რომ ყველგან შექმნილა ერთის სახით და ერთის მიზნით.

კომიტეტებმა დიდი როლი ითამაშეს. გარდამავალ ხანაში რაც შეეძლოთ გააკეთეს, ხელი შეუწყვეს ძველი წყობილების ნაშთების ლიკვიდაციას, ახალი პირობების შექმნას და ამ მუშაობამ სათანადო ნაყოფიც მოგვიტანა: საქართველო არ დაინგრა, არ მოისპო, ის გადარჩა განსაცდელს და მოახერხა პარლამენტარულ წყობილების დამყარება, რესპუბლიკის დაარსება, ენერგიული დემოკრატიული მთავრობის ამორჩევა.

კომიტეტებმა მისია შეასრულეს არა მარტო მით, რომ ადგილობრივ, დაწესებულებათა შენახვა და რეორგანიზაცია შესძლეს, არამედ იმ მხრივაც, რომ ხელი შეუწყვეს თვით პარლამენტარიზმის განმტკიცებას. აშკარაა ყველა კომიტეტი მოვალეა პარლამენტარულ წყობილებას გადასცეს საადმინისტრაციო უფლებები ღრმად დარწმუნებული, რომ დემოკრატიული მთავრობა არა შემთხვევის მიხედვით, წმინდა სისტემატიური შრომის, კანონის და ფორმულების საშუალებით მოაგვარებენ დაწესებულებათა და რევოლიუციის ინტერესების დაცვას.

დღეს ყველგან უნდა აღიმართოს დროშა რევოლიუციონურ მთავრობისა, საქართველოს დემოკრატიულ პარლამენტისა. ამიერიდან მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტებმა მორიგ მიზნად და საქმედ უნდა დაისახონ შემდეგი: ხელის აღება ადმინისტრაციაზე და დახმარება მთავრობისა თავის ახალ და მძიმე მოვალეობათა აღსრულების დროს.

ვინ არ იცის, რომ დემოკრატიისათვის ძვირფასია ყოველი დაწესებულება. მაგრამ წარმოებას არ აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა. რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი, ქარხანა არის საქმე არა მარტო იმ მომუშავეებისა, რომელნიც დაწესებულებებში მსახურებენ, ყოველ ამას სახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც არის ამ საქმეებს უნდა განაგებდეს არა პროფესიონალური კავშირი, ან მსგავსი ვიწრო ფარგალის კომიტეტი, არამედ მთელ ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული მთავრობა. მხოლოდ ასეთი მთავრობა დაიცავს ყველგან ყველას ინტერესებს, სახელმწიფო სახელმწიფოს დაემგზავსება და საერთოდ აღსრულდება დემოკრატიის ზრახვა: შეიქნეს ძლიერი დემოკრატიული საქართველო, რომელიც გამოიწვევს კულტურულს და ეკონომიურს განახლებას. ამ მიზნისათვის ყველგან ყველა კომიტეტმა მხარი უნდა მისცეს მთავრობას და სახელმწიფოს ორგანოები სახელმწიფოს გადასცენ სახელმწიფოს სრულს განკარგულებაში.

[...]ტეხელნი იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის ჯალათთა დროს და არ ერიდებოდნენ არც სახრჩობელას, არც კატორღას არც ციმბირის ჭაობებს, და მათის მაგალითით გამხნევებული შევსძლებთ გაუმკლავდეთ გარეშე მტერსაც და დავაყუჩოთ შინაური უწესოება. ამის შეგნება შეურყეველი უნდა იყოს ყველაში.

არა შიში და უმოქმედობა, არამედ რწმენა და გაათკეცებული საქმიანობა! ნუ შევცდებით ამ ტიტანურ მუშაობის დროს—უცოდველი ღმერთია და ის, ვინც გულზე ხელდაკრეფილი ზის ან სავის დაცხვით იოთობს თავს—ხოლო ეს შეცდომა გაკვეთილი იყოს ჩვენთვის და დღევანდელ წაგებაზე ავაგოთ ხვალინდელი მოგება. დაუღალავად ვიმუშაოთ, შეუდრეკელად ვიბრძოლოთ. ვეცადოთ ყოველის ღონით, რომ გათენებული დღე ჩვენი თავისუფლებისა თავისუფლებითვე დაღამდეს. დღეს თუ სუსტი ვართ, ხვალ ძლიერები ვიქნებით, დღეს თუ არ გვენდობიან, ხვალ გვენდობიან. დრო მოვიგოთ მხოლოდ, წუთი მოვუმატოთ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, დღე მიუმატოთ, თვეები [...]ტოთ!..

დადგება ჟამი, როდესაც საქართველოს თავისუფლება უდიდესი და უმტკიცესი სინამდვილე შეიქმნება ყველასათვის.

სამ ფირცხალავა.

## მთავრობაში

16 აგვისტოს სხდომაზე მთავრობამ ა. მაზნიაშვილის განკარგულებაში გასცა 500,000 მან. 300 ათასი სამხედრო საჭიროებისათვის, დანარჩენი დაპყრობილ ადგილებში ადმინისტრაციის მოსაწყობად.

—

დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტროს ხარჯთაღრიცხვა 93,500 მანეთი.

დაადგინეს: დახუროს ლაზარეთი № [...] და მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცეთ საერთო წესით.

—

ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა მისთვის ქალაქში სპირტის გაყიდვის მიცემის შესახებ არ იქმნა შეწყნარებული.

ამის უფლება აქვს მხოლოდ მიწადმოქმედების მინისტრს. ავტომობილებისათვის სპირტის ხმარება სასტიკად აკრძალულია.

—

მარილის შესახებ ხელშეკრულების პროექტების საკითხის განხილვა დაევალა კომისიას ამხანაგებო თათბირს, რომელშიაც შევლენ: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, მისი ამხანაგები იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრები.

—

სასურსათო მინისტრს დაევალა პური მიაწოდოს გურიას და სამეგრელოს, სადაც ეხლა დიდი შიმშილობაა.

## უკანასკნელი ცნობები

ლეჩხუმი. გენ. სუმბათაშვილისაგან ქუთაისიდან სამხედრო მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: პოლკ. მაქარიაძის რაზმმა მოწინააღმდეგე სასტიკად დაამარცხა და ბრძოლით [...]ბ მიიღეს. ჩვენმა ჯარმა მტერი ქვაკუნტისა და თაგმავას უღელტეხილებიდან განდევნა და დაიკავეს ყველა ხიდები და გასავლელი ადგილები დაიჭირა. მდ. რიონსა და ალახაზე მზვერავთა რაზმი მარჯვედ მოქმედებს. ბრძოლით ივიღეთ სოფ. [...]აგიში ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი და 6 ტყვედ წამოვიყვანეთ. კაიკიშსა, ცაგერსა და სხვა სოფლებიდან დელეგატები მოდიან და მორჩილებას გვიცხადებენ.

იმედი გვაქვს, რომ ლეჩხუმისა და [...]ნის რაიონებში აჯანყებას მალე მოვსპობთ. მუშობის ხიდი ჩვენს ხელშია. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ს. [...]ასთუმას თი ასაფეთქებელი მასალა ჩამოჰყარეს, სოფლის ცხოვრებლებმა დელეგაცია გამოგვიგზავნეს და [...] გვთხოვეს. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

—

გერმანიის საელჩო კატეგორიულად უარჰყოფს გაზეთებში გავრცელებულ ცნობებს ბაქოს წინააღმდეგ გერმანელთა და ავსტრიელთა ჯარის გაგზავნის შესახებ.

—

ბაიდაური. თათრებმა იარაღი აიყარეს [...] ქართველების ჯარს ისევ თავისი პოზიციები უკავია, ვიდრე სულ არ აიყ[...]

ხადა და ვადა დანიშნული იყო ამისთვის 17 აგვისტო (ძველი სტ. 4 აგვისტო). დახვრიტეს ყაჩაღური ერთი ავაზაკი და მამის მკვლელი. დაჭერილია მრავალი ქურდი და დამნაშავე.

## ეროვნული საბჭო

აგვისტოს 16 სხდომა

კრება იწყება საათის 1, თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

დღის წესრიგის ფურცელზე აღნიშნულია შემდეგი:

1 განხილვა კანონპროექტისა 1914 წლის დეკემბრის 16 დროებითი კანონის (ზოგიერთი არსებული გადასახადთა გადიდებისა) მოქმედების გაგრძელების თაობაზე. მომხსენებელი ი. ბარათაშვილი.

2. გაგრძელება მსჯელობისა საბჭოს წევრის დ. ჩიქოვანის მთავრობისადმი შეკითხვის გამო ტუსაღთა გაუსამართლებლად დახვრეტის თაობაზე.

3. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვა ბორჯომის წყლის, ტყეების და სახელმწიფო ქონების უწესო ექსპლოატაციის თაობაზე.

4. იმავე ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვა რკინის გზაზე მოსამსახურეთა უკანონოდ დათხოვნის თაობაზე.

ი. ბარათაშვილი (ს. ფ.) 1914 წლის დეკემბრის 16 დროებითი კანონის გაგრძელების თაობაზე მოკლედ ეს ითქვის: კანონი ეხება სასამართლოს გადასახადებისა და ბეგრისა და სხვათა გადიდებას. კერენსკიმ ვადა გააგრძელა 1914 წლის იანვრის 1-დე. თქვენდამი წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით ვადა უნდა გაგრძელდეს 1918 წლის იანვრის 1-დამ.

საბჭო ადასტურებს კანონპროექტს.

თავმჯდომარე. დღის წესრიგის ფურცელზე მე-2 მუხლად აღნიშნულია საბჭოს წევრის დ. ჩიქოვანის შეკითხვის გამო აღძრული მსჯელობის გაგრძელება;

სიტყვა ეკუთვნის ი. ბარათაშვილს.

ი. ბარათაშვილი (ს. ფ.) მოქალაქენო, საბჭოს წევრნო. სოც.-ფედერალისტთა ფრაქციამ დ. ჩიქოვანის შეკითხვის თაობაზე უკვე გამოსთქვა თავისი აზრი. მაგრამ საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ ხელმეორედ დაუბრუნდეთ მეკითხველი შეხოებოს საკითხს—ტუსაღების გაუსამართლებლად დახოცვას და გამოსთქვა ზოგადი სურვილი, რომ ეს ამიერიდან აღარ განმეორებულიყო. საფიქრებელი იყო, კამათი აბითი გათავდებოდა. მაგრამ საქმე ბ. გაბაშვილმა გაართულა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, გაბაშვილს ჩვეულებად აქვს გვერდი აუხვიოს განსახილველ საკითხს და შეეხოს ისეთს საკითხს, რომელსაც საქმესთან კავშირი არავითარი აქვს.

რასაკვირველია სახელმწიფოში ყოველგვარს მოქმედებას კანონიერების ხასიათი უნდა ჰქონდეს. თუ ტრიბუნალებმა უკანონობა გამოიჩინა ამას საყოველთაო ხასიათი არა ჰქონია, გაიოხაკლისს შეადგენდა მხოლოდ. წინააღმდეგის დამტკიცებას გაბაშვილი ვერ მოახერხებს. ვინ უარჰყოფს, რომ ტრიბუნალებსაც აქვს ნაკლი, შეცოდებაა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, თუ აღნიშნავთ უარყოფით მხარეს, არ უნდა დაგავიწყდეთ ნათელი, დადებითი მხარეც ტრიბუნალებისა. ვკითხები ბ. გაბაშვილს, თუნდაც იმავე გორში ტრიბუნალი რომ არ ყოფილიყო რა იქნებოდა გორსა და გორის მაზრაში? ნუ თუ არ გახსოვთ, რაოდენი ღვაწლი მიუძღვის გორის ტრიბუნალს მძარცველობასა, ავაზაკობასა, დაცემასა და საზოგადოდ ანარქიასთან ბრძოლის საქმეში? გაბაშვილმა იცის, რომ ტრიბუნალებმა ხალხის ნდობა მოიხვეჭა; ეს ორგანო ხალხის შექმნილია, რევოლიუციის პირმშო შვილია. იცის ყველაფერი ეს და ამიტომ არის ამხედრებული ტრიბუნალების წინააღმდეგ. ხალხმა მოსპო უსამართლობაზე აგებული ძველი სასამართლოები, თავიდან მოიწყვიტა ძველი მთავრობას აგენტები და როგორ გინდათ, უსამართლოდ უნდა დარჩენილიყო ხალხი?

ვინც ობიექტიურად შეხედავს საქმეს, იმას კი არ მოითხოვს, რომ ტრიბუნალები მოისპოს და მის მაგიერ სიცარიელე დარჩეს, არამედ ახალი სასამართლოს შექმნას. თუ გადავავლებთ თვალს ტრიბუნალების განაჩენს დაინახავთ, რომ გაბაშვილმა სწორი საბუთი ვერც ერთი მოიყვანა მათ წინააღმდეგ მაგალითად, ის რაც სხვაგან მოხდა გორის ტრიბუნალს მიაწერა.

ცილისწამების აზრით, უკადრისის [...]

# გაუმხელი ექსპრომტი

ჰ—ძის ქალს თ—ს.

1

შენს აბურულ წამწამებში ანგელოზებს სძინავთ ბუნდათ,
შენს შავ თვალებს—რითმეულებს ეშმაკობა უნდათ, უნდათ,
შენი ღიმი შენვე გკოცნის—დაგდებია ტუჩზე ხუნდათ..

შენს სუფრაზე—თაფლის ფერად თრთის ღვინო და სუნთქავს ნუში,
რაინდები მჭევრობენ, სადღეგრძელოს მოსდევს ტუში,
ყველას გული შენთვის იწვის, შენსავ ცეცხლზე მონაშუში!

კვნესის ბახმოს ჭიანური და ჩემს სევდას შენს წინა ჰგოდებს,
შენს ძვირ სიტყვებს ვიღაც მქრქალი—რითმის ბწკარად მომაწოდებს
თითქო მესძის:—„მოვა, დაგწვავს, წავა... აღარ შეგიბრალებს!“

2

ჩემი გულის საგანძური გაუქურდავთ ებრაელებს!
ვერ აღვადგენ გიჟურ წარსულს, ვერ ავანთებ ფიქრებს ძველებს
ვერც თუ ახლად შემოხვედრილ თვალთა მუქი მადანწველებს!

მაგრამ როცა ვარდი-მზის ღიმს გულში კოცნად ჩაიგორებს,
როცა სიო ნადიკვარზე გაალვიძებს დილის ჭორებს,
როცა ბინდზე შეხვედრილებს—განთიადი დაგვაშორებს,

მაშინ წავალ და... შორს, გვიან, როცა მოვალ ტანჯვის ქინზე,
ჭანდართა ქვეშ, ღვინის გვერდით, ჭიანურის ჩუმ ქვითინზე
ალბად ბევრჯელ ავტირდები ავთანდილი—თინათინზე!..

ს. ფაშალიშვილი

3 აგვისტოს გარიჟრაჟი,
თელავი.

და ადგილია, რომელიც ბოროტად არავინ უნდა გამოიყენოს თანახმა ვართ, რომ ცხოვრებაში არსებობს თვითგასამართლება. მთავრობა ამის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებს და მოსპობს კიდეც მირიანად. სიტყვის დასასრულს ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ტრიბუნალები მოისპობა მხოლოდ მაშინ, როცა მის მაგიერ ჩვენ შევქმნით ახალს, ხალხის ინტერესებთან შეფარდებულს ნამდვილს სასამართლოს. მანამდე კი ხალხს სასამართლოს ფუნქციათა შემსრულებელს ორგანოს ხელიდან ვერ გამოვტაცებთ.

დ. ჩიქოვანი (რ. დ.) როდესაც შეკითხვა შემოვიტანე, თავიდანვე განვაცხადე და ვითხოვე შეკითხვის განხილვას პარტიული ხასიათი არ მისცემოდა. სხვა და სხვა ფრაქციის წარმომადგენლმა მხარი დამიჭირა. მეგონა ბ-ნი რამიშვილი და ს. დ. ფრაქციაც მხარს დამიჭერდა მაგრამ მოვსტყუვდი. განა რა ვსთქვი ისეთი? მე აღვნიშნე ამგვარს გასამართლებას წინად საბუთი ჰქონდა, მაგრამ ახლა ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს მეთქი. ბ-ნი რამიშვილის ყურადსაღებად უნდა აღვნიშნო, იმისი გამოსვლა არც პარლამენტს შეეფერებოდა, არც მინისტრის სიდარბაისლეს. იმისი პოზიცია იყო პარტიული კაცის პოზიცია. გამოდმა შემომედავა: ჩიქოვანს სცოდნია ბევრი რამ და რატომ არ შემატყობინაო. მე მოვახსენე თვითგასამართლებას მასიური ხასიათი აქვს და უნდა გცოდნოდათ მეთქი. მოქალაქე მოვალეა ბოროტმოქმედება ადმინისტრაციას შეატყობინოს და არა მინისტრთან იობიხოს. ადმინისტრაციამ იცოდა ყველაფერი და ეს სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო საქმის მოსავლელად. ბ-ნი რამიშვილის გამოსვლამ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე—თითქოს უწყსო საქციელს აკანონებსო; იმის მაგიერ, რომ დაგვპირებოდა, მოვსპობო—თითონვე გამოექომაგა უწესრიგობას. შემდეგ ეკამათება ნინიძეს.

ნინიძე სინამდვილის გამორკვევას კი არ ცდილა, საჭიროდ დაინახა მთავრობის პოზიციისათვის ხელი წაეფარებინა.

გაბაშვილი (ნ.-დ.). დ. ჩიქოვანის მოყვანილი მაგალითები და ჩემი დამატება ფაქტია. მინისტრი რამიშვილი კი ამბობს საბუთი არ მოგიყვანიათო, ეს ყოველთვის ასეა: მთავრობის საბუთი საბუთია, ოპოზიციისა კი არა. ბარათაშვილი ამბობს, დანგრევა ადვილიაო, აშენება კი ძნელიო. ჩვენც ამას ვამბობთ. თქვენ, სოციალისტები, ძალიან დახელოვნებულნი ხართ დანგრევის საქმეში, აშენება კი არ გეხერხებათ. მე ვეკითხები ბარათაშვილს, ჰკითხა კი თავის ამხანაგს იუსტიციის მინისტრს, არის თუ არა საბუთები იმის დასამტკიცებლად, რასაც ჩვენ ვამბობთ. მუხრანში მოჰკლეს ერთი კნეინა. ადმინისტრაციამ იცის ოთხი მკვლელის ვინაობა, მაგრამ მკვლელები აქამდე შეპყრობილნი არ არიან. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომც თქვენ არ გინდოდეთ ბოლო მოუღოთ ამ ბოროტების. არა თქვენ ეს გინდათ, მაგრამ არ შეგიძლიათ. ნინიძემ სთქვა, შემკითხველები კი კონტრ-რევოლიუციონერები არიანო. ჩვენ გასაწბილებლად არაფებს ერიდებიან. თითონვე კი ამბობენ ტრიბუნა უნდა დავიცათო ამას წინად ნინიძემ ერთი მხატვარი მოიგონა, რომელსაც ლომი დაუხატია და ქვეშ მოუწერია: ძალლი არ [...] მთ, ლომი არისო, საქართველოს ეროვ[...]

ნული საბჭოს მომავალი ისტორიკოსი ნინიძის სურათს რომ დახატავს ქვეშ მოაწერს: ეროვნული საბჭოს წევრი არ გეგონოთ, გორის ბანკიდან ფულის იარაღით ხელში გამტაცებელიაო.

შ. მე ხიშვილი (იუსტიციის მინისტრი) მოქალაქენო, საბჭოს წევრნო! დღეს აქ ლაპარაკს არ ვაპირებდი, მაგრამ გაბაშვილისა და ჩიქოვანის გამოსვლამ მაიძულა. მე ყველას გასაგონად უნდა განვაცხადო ჩვენ მხოლოდ მაშინ არ ვაქცევთ ყურადღებას ამა თუ იმ უწესოებას, როცა ჩვენ ამისი ცნობა არა გვაქვს. და ყოველთვის, როცა კი ჩვენამდე ცნობა მოაღწევს ამა თუ იმ ბოროტმოქმედების თაობაზე, საქმეს შესაფერს მსვლელობას ვაძლევთ და დამნაშავეს სასამართლოს გადავცემთ ხოლმე. ჩვენ იმას კი არ გიკიჟინებდით, მინისტრს რატომ არ ატყობინებთო. ამას არავინ გთხოვთ, ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ყველა მოქალაქისაგან სათანადო უწყების ან ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეატყობინოს ყველა ის უკანონობა რაც საზოგადოებისა თუ პიროვნების ინტერეს შელახავს და ხელს უშლის სახელმწიფოს ცხოვრებას ნორმალურს კალაპოტში ჩადგეს. თქვენ ბ-ნო ჩიქოვანო, ოუსამის მკვლელობის ამბავი გცოდნიათ, გამომძიებლისათვის უაღრესად საჭირო იყო ყოველგვარი მასალა, მას ეს მასალები არა ჰქონდა, თქვენ გქონიათ და გამომძიებელს არ მიეცით ღონისძიება გამოეყენებინა.

ჩიქოვანმა განაცხადა: ჩემს შეკითხვას დიდი შედეგი მოჰყვაო. მე ვაცხადებ, სანამ ჩიქოვანი თავის შეკითხვას შემოიტანდა კანონპროექტების მთელი რიგი უკვე დამზადებული იყო სამსჯავროს საქმეების შესაფერ კალაპოტში ჩასაყენებლად. ალბად გობეჩიას საქმეც გექნებოდათ მხედველობაში. გარწმუნებთ, ბ-ნო ჩიქოვანო სრულიად თქვენზე დამოუკიდებლად წარიმართა ეს საქმე.

გაბაშვილი ჰფიქრობს მე აღვიარე ყველა ის ბრალდება, რაც მან ტრიბუნალების წინააღმდეგ წამოაყენა. დიდად შემცდარია. მე ვამბობ, ზოგიერთი უკანონო შემთხვევა იყო და ამ უკანონობის ჩამდენნი უკვე სამართალში არიან მიცემულნი. მაგრამ ეს ნებას არავის აძლევს რამდენიმე შემთხვევა გააყოვლადოს. გაბაშვილი კი სწორედ ასე იქცევა. ამაშია შეცდომა გაბაშვილისა და ყველა მასავით მოაზროვნისა. მოიგონეთ გორის მაზრის მახინჯი აგრარული მოძრაობა განა ტრიბუნალი არ იყო ის ძალა, რომელიც ებრძოდა ამ მოძრაობის სიმახინჯეს, ცარცვა-გლეჯას, მკვლელობას, ანარქიას. სხვა სახელმწიფოებში ტრიბუნალები არ არსებობსო ამბობს გაბაშვილი. გაიხსენეთ რევოლიუციათა ისტორია ყველგან, სადაც კი ხალხი დაამხობდა სახელმწიფოს ძველს წესწყობილებას, ძველი წესწყობილების ყავარჯენს, უკუღმართს ნიადაგზე აშენებულს სასამართლოსაც თან გადაჰყოლებდა ხოლმე. და ძველი სასამართლოს ნანგრევებზე აღმოცენდებოდა ხოლმე სარევოლიუციო ტრიბუნალები. მაგრამ გაბაშვილმა შემთხვევით დაუკავშირა ტრიბუნალების საკითხი ჩიქოვანის შეკითხვას, ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ შემთხვევა მისცემოდა გაელაშქრნა იმ ორგანოების წინააღმდეგ, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ხალხს წესრიგის დამყარებისა და ანარქიასთან ბრძოლის საქმეში.

ბ. ჩიქოვანი სულ იმას იმეორებდა, [...]

ნამდვილად, სულ მთავრობის დამნაშავეობაზე ჰქონდა ლაპარაკი. მთავრობამ რაც კი ეცნოს ყველა საქმეს შესაფერი მსვლელობა მისცა [...]

მე [illegible] მთელი რიგი ამისთანა საქმეებისა. ადვილია კერძო ფაქტების მითითება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დაინგრა მთელ დედამიწის ზურგზე ერთი უდიდესი ძველი წესწყობილების სახელმწიფო, ამ უდიდესი ნგრევის დროს ყველაზე მეტად უვნებელი ჩვენ გამოვედით, მაგრამ მაინც აშენება ახლისა ამ ნანგრევებზე ჩვენშიაც უცებ სწრაფად ძნელი და მოუხერხებელია. ჩვენი სახელმწიფოს ახალი შენობის აგებამდე უეჭველია ბევრი უკანონობა და უწესოება მოხდება ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ამას. ერთი უმთავრესი პირობათაგანი არიან ახალი, ჯანსაღი სასამართლოს შექმნა. ჩვენი ძალ-ღონე სხვათაშორის აქეთკენაც უნდა იყვეს მიმართული.

ვ. ე.

(შემდეგი იქნება)

## ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი. 8—16. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. კემელსა და ვიეპერგინთან მოწინავე პოსტების ბრძოლა. ლისის სამხრეთით ეიეტთან და ანკრის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ბომეს ლაშქარი. რუახის დასავლეთით და ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი ცეცხლია. ცეცხლს მტრის იერიშები მოჰყვა ავრის ორივე ნაპირით, ლასინის პირდაპირ და უაზას აღმოსავლეთით მაღლობებზე. ტიეკურის სამხრეთით მტრის ხელში დარჩა ატ[...] დანარჩენ შემთხვევებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლასინისთან ბრძოლაში მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. აქ მტერმა 6-ჯერ მოიტანა იერიში და 10 საათის ბრძოლის შემდეგ იგი თავის პოზიციებისკენ გავრეკეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ველასთან საარტილერიო მოქმედება საღამოს გაძლიერდა და მთელ ღამეს გაგრძელდა.

საჰაერო ბრძოლა. გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 24 ჰაეროპლანი.

პარიზი, 8—16. გასულ დღის განმავლობაში ფრანგებმა შეავიწროვეს გერმანელები რუაის დასავლეთით, მიუხედავად იმისა, რომ მტერი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. ივრის ჩრდილოეთით ფრანგები კანადელებთან ერთად მოქმედებდნენ და თავისი პოზიციები კუალენკურ-სენ-მიარდენ-ტრიოლიუკურის ხაზზე გადაიტანეს. ავრის სამხრეთით ფრანგები ღრმად შეიჭრნენ ლიჟეების ტყეში. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერია.

ბერლინი. 8—15. ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი, საფრანგეთის ფრონტზე რომ არის, იტყობინება: გერმანიის ჯარის მედგარი წინააღმდეგობა ფრანგების იერიშებს აჩერებს და მათ წინსვლას აფერხებს. გერმანიის არტილერია მეტად გაძლიერდა და უფრო ცხოველ-მოქმედია, საუცხოოდაც ილებს მიზანში.

იტალიის ფრონტი

ვენა. 8—16. იტალიელთა ახალი იერიშები ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ მონტოლოსთან ჩვენი მსროლელთა პოლკის მედგარი წინააღმდეგობით მოგერიებულ იქმნა. ტონალეს რაიონში საგულისხმო არაფერი მომხდარა გუშინ. მტრის იერიში მონტე მონკზე მოვიგერიეთ.

ალბანიის ბრძოლის ველებზე ცვლილება არ მომხდარა.

პალესტინის ფრონტი

სტამბოლი. 8—16. ადგილ-ადგილ საარტილერიო მოქმედება ძლიერდება. მედინის სამხრეთ-დასავლეთით აგვისტოს 10-დან საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა და 11 აგვისტოს საღამომდე გაგრძელდა, ჩვენმა წინააღმდეგობამ აიძულა მტერი აგვისტოს 11-ს ღამით თავისი პოზიციები დაეტოვებინა, მან დაიხია ბირდერვირტისაკენ და დიდად დაზიანდა. სხვა ფრონტებზე საგულისხმო არაფერი მომხდარა

## უკანასკნელი ცნობები ბაქოს შესახებ

უკანასკნელ ბრძოლის დროს ბაქოდან გამოქცეულებმა გადმოგვცეს შემდეგი:

ბრძოლა.

ბიჩერახოვის რაზმისა და ინგლისელთა ჯარის ნაწილის მოწვევისა ბოლშევიკები შაუმიანის მეთაურობით წინააღმდეგნი ყოფილან, მაგრამ ბოლოს დათანხმებულან და ტფილისზე გამოლაშქრება განუზრახავთ: მათ [...]

შევიკე“ ჯარის ნაწილი არაყსა და ღვინოში იხრჩობოდა. როდესაც ოსმალოს ჯარი მოადგა ქიურდამირს, ბიჩერახოვმა უკან დაიხია, რადგან მას მაშველი ჯარი არ გამოუგზავნეს ბაქოდან. ამ გვარად ივლისის ბოლოს უკვე ბაქოს მოადგნენ ოსმალოები. უკანასკნელთ არ უნდოდათ ბაქოს აოხრება და ამიტომ წინადადება მისცეს ბაქოს ჯარს დანებებულიყვნენ, მაგრამ უარი მიიღეს და ამ გვარად ბაქოს მიდამოები და თვით ბაქო ეს ორი კვირაა გადაქცეულია საბრძოლველ ასპარეზად. შესაძლებელია ქალაქს ამის გამო დიდი ზარალი მოუვიდეს და საწარმოვო რაიონები გადაიწვას. ყოველ შემთხვევაში ოსმალოები ცდილობენ ბაქო აუოხრებლად აიღონ.

**ბოლშევიკების გაქცევა.**

კრიტიკული მომენტი რომ დადგა და ბაქოს ოსმალოები მიადგნენ, შაუმიანი და მობოლშევიკე რუსები, აგრეთვე ჯაფარიძეც, ჩასხდნენ გემებში გასაპარავად რუსეთისაკენ;—ამ დროს ძალა-უფლება ესერებმა მენშევიკებმა და დაშნაკელებმა ჩაიგდეს ხელთ და დარაზმეს თოფქვეშ თანამგრძნობნი; იმდენი მოახერხეს, რომ მეზღვაურნი ჩაითრიეს საქმეში, გამოაცხადეს მათი დიქტატურა. მეზღვაურებმა არ გაუშვეს ბოლშევიკებით დატვირთული გემები და ბიჩერახოვმაც თავის რაზმით უკანვე ჩამოსხეს გემიდან. პეტროვსკის მოედანზე დაელაგა ბიჩერახოვის რაზმი თავის ზარბაზნებით, ამ გვარად ბოლშევიკებმა გაქცევა ვერ მოახერხეს, რადგან მეზღვაურებმა იმათი გემების ჩაძირვა დააპირეს.

**საყოველთაო იძულებითი მობილიზაცია.**

მენშევიკ-ესერ-დაშნაკელთა საბჭომ კრიტიკულ მომენტის გამოისობით გამოაცხადა საყოველთაო იძულებითი მობილიზაცია. თუ ვინმე ამ დროს წინააღმდეგობას გასწევდა, ან არ მოისურვებდა ჯარში ჩაწერას, ნეიტრალიტეტს დაიცავდა, სასტიკად სჯიდნენ. განსაკუთრებით დაშნაკელები იჩენდნენ ამ შემთხვევაში სიმკაცრეს და „ვრაციების“ განსაკუთრებით სდევნიდნენ და აიძულებდნენ უსათუოდ ჯარში ჩაწერილიყვნენ.

**ქართველები.**

ქართველებს უნდოდათ ნეიტრალიტეტი დაეცვათ; ეროვნულმა საბჭომ გამოიტანა ასეთი დადგენილება; სურდათ თუ მაინც და მაინც აელოთ იხოლოდ ქალაქის დაცვა-დარაჯობა, თუ ესეც შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ ცალკე ქართველების რაზმი შეედგინათ, მაგრამ დაშნაკელებმა ეს არ ისურვეს იმ მოსაზრების გამო, რომ შეიძლება ქართველებს გადამწყვეტი როლი ეთამაშნათ ამ ბრძოლაში. საერთოდ-კი დაშნაკელები მეტად უხამსად ექცევიან თურმე ქართველებს. საჭიროა ამას ჩვენმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მოაქციოს. საერთოდ-კი უნდა ვეცადოთ ქართველები პროვოკაციას გადავარჩინოთ, რადგანაც პროვოკატორების წყალობით ოსმალოები ტყვე ქართველებს მეტად ცუდათ ექცევია და იმათ ბოლშევიკებს უწოდებენ.

**ბაქო რუსეთისათვის.**

დღეს ასეთი მდგომარეობაა; ბაქოს ჯარი, რომელიც შესდგება უმთავრესად სომეხ-ჯარისკაცებიდან იბრძვის რუსეთისათვის „ყველაფერი ბაქოსათვის და ბაქო-კი რუსეთისათვის“, აი იმათი ლოზუნგი. აი იქაურ ესერ-დაშნაკელთა კრედო. მაგრამ ბაქოს დღეები დათვლილია და სულ მალე აიღებენ მას ოსმალოს ჯარისკაცები.

# უცხოეთი

**მოსკოვი.** 8—14. რუსეთის ელჩს ბერლინში იოფეს. თუმც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტ-ყაჩაღები ყოველგვარ უფლებასა და სამართლიანობას სთელავს და საძარცვა-მტაცებელო ექსპედიციას აწყობენ მშვიდობიან რუსეთში და თუმც ეს იმპერიალისტ-ბანდისტები ხვრეტენ და ატუსაღებენ საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენლებს, მაგრამ საბჭოთა მთავრობა ამ გვარ ბარბაროსობას მაისც არ უპასუხებს მითვე საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, დიპლომატიისა და საკონსულოთა წარმომადგენლებს შეძლება მიეცემათ ბალტიის ზღვით გაემგზავრონ პეტროგრადიდან სტოკჰოლმში; ამის ნაცვლად ინგლისიდან უნდა გამოუშვან დიპლომატიის და სხვა წარმომადგენელნი, რომელნიც რევოლიუციონურ რუსეთის მოქალაქეთა რიცხვს ეკუთვნიან. საფრანგეთის სამხედრო მისიის წევრნიც მიიღებენ რუსეთიდან გასვლის უფლებას ხოლო საფრანგეთიდანაც უნდა გამოუშვან რუსი ჯარის კაცები.

ჩიჩერინი.

**კიევი.** 8—14. უკრაინის ფინანსთა მინისტრმა პრესის წარმომადგენლებს აუწყა, რომ უკრაინას მოუხდება შინაური სესხის მოწყობა 500 მილ. მან. სასურსათო მინისტრმა აუწყა, რომ უკრაინის მთავრობის უახლოეს საზრუნავს შეადგენს დაიცვას თანახმად ბრესტის ხელშეკრულებისა უკრაინის ვალდებულებანი ცენტრალურ სახელმწიფოთა წინაშე.

**პური რუსეთში** რუსეთის პროვინციებიდან ცნობები მოდის, რომ ჰირნახული უკვე მოკრიბეს. ზოგიერთ ადგილას მოსავალი კარგი იყო. ასეთივე ცნობები მოდის ორიოლიდან და ვორონეჟის გუბერნიიდან.

ხარკოვის მეხორბლეთა კავშირის კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ადგილობრივ კავშირს გაუქმებულ იქმნას კანონი პურის მონოპოლიისა და მის ნაცვლად დაწესდეს საპურო ბეგარა.

**ნიკოლოზ მე-II** რუსეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ნამეფარის ნიკოლოზ მეორის დღიური. ნიკოლოზი თავის დღიურში ეხება იმ ამბებს, რომელიც მის მეფობიდან გადაყენებას უძღოდა.

**სომხების საკითხი.**

**სტამბოლი.** 8—15. სომხური გაზეთი „ჰაირენიკ“ ეხება ბალფურის მოსაზრებებს სომხების საკითხის შესახებ და არავითარ ფასს არ აძლევს მათ, სომხების საკითხი სათამაშო ბურთად გაიხადეს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა—სწერს გაზეთი, და ინგლისისა და რუსეთის ინტერესებს მიუტანეს მსხვერპლადო.

# ახალი ამბავი

◆ **ყუბაში მოკლული ქართველები.** გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებული ამბავი ყუბაში ქართველების მოკვლის შესახებ მომხდარა ამა წლის მარტში, როგორც იქიდან ჩამოსულმა სანდო ამხანაგმა გადმოგვცა. სხვათა შორის მოუკლავთ უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის ინსპექტორი ციციშვილი, ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილი უფროსი ეგნატაშვილი (ეგნატიევი) და 7-მდე სხვა ქართველი. ზემოხსენებული ცნობა „ერთობისა“ ამ ამხანაგის სიტყვებითაა დაწერილი.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 20 ხოლერიანი და 10 საეჭვო ავადმყოფი. საეჭვოთა განყოფილებიდან ხოლერიანთა განყოფილებაში გადაიყვანეს 5. მოკვდა 13. გარდაიცვალა 14 ხოლერიანი და 2 საეჭვო ავადმყოფი. აგვისტოს 16-ს საავადმყოფოში იყო 84 ხოლერიანი და 15 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **ახალი წიგნები** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „კოოპერაციის“ 1—4 ნომრები და მისივე გამოცემული წიგნები: „ოქროს წყარო“ ლ. ბარბიერის, „ახალი საკოოპერაციო კანონი“, „შენიშვნები მიწის კანონის შესახებ“ ვლ. ემუხვარისა, „სამეფო მომხმარებელისა“ შ. ჟიდისა და შ. ჟიდისვე „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები.

◆ **ლტოლვილები.** საქართველოს რკინის გზების უფროსმა გზათა მიმოსვლის მინისტრს აცნობა, რომ სად. სანაინზე აურაცხელი ლტოლვილები მოდიან. რაკი მატარებლებში ადგილი არ არის ვაგონების სახურავებზე სხდებიან და ისე მიდიანო და თან სთხოვს სასწრაფო სასტიკი ზომები იქნეს მიღებული, რომ ლტოლვილნი ტფილისში არ შემოუშვან, რათა ბინის და სურსათის კრიზისი უფრო არ გაამწვავონ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზების გაყოფის** საკითხის მოსაგვარებლად 30 აგვისტოს გერმანიის მისიის თაოსნობით შესდგება საგანგებო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელნი.

◆ **გერმანელთა მისსია.** პროფეს. ცუგმაიერის მეთაურობით თერგის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად წასულ გერმანელთა მისია გუშინ გზიდან უკან დაბრუნდა, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზე რამდენ მე ალაგას ზვავი ჩამოწოლილა.

◆ საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად ამ დღეებში გაიგზავნება გერმანელთა 2 როტა, რომელთაგან 1 როტა სად. ყაზბეგთან იდგება, ხოლო მეორე სხვა და სხვა პატარა სადგურზე

◆ **საშუალო სკოლების მასწავლებელთა კურსების** მსმენელები სთხოვენ ტფილისის ყველა ტიპის საშუალო სასწავლებლების ქართველ გამგეობის და მასწავლებელთა დაესწრონ აუცილებლად საერთო კრებას კვირას აგვისტოს 18-ს დილის ათ საათ. კადეტთა კორპუსის შენობაში (გოლ. პროსპექტი). გასარჩევია საკითხი საშუალო სკოლებში ნაციონალიზაციის გატარების შესახებ.

◆ **გზათა მინისტრის საყურადღებოდ.** აუცილებლად საჭიროა ყველა სადგურის კასასთან გამოკრულ იქმნას საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა ბილეთების ფასი, ვინაიდან ამ ნიადაგზე ბევრი ბოროტმოქმედება ხდება. საჭიროა აგრეთვე ყველა სადგურს საჯარო ადგილას ჰქონდეს განცხადებული მატარებელთა მიმოსვლის ცხრილი.

◆ **თავდასხმა.** ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ცნობა მიიღო რომ ბოროტ-მოქმედნი ვერის დაღმართზე მყოფ აბანოს პატრონ აბრამიშვილზე დაცემას აპირებენ, 16 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პეტრე ჩაჩავა მილიციელებით მიჯიდა აბრამიშვილის სახლში ვერის დაღმართზე № 7 ჩასაფრდა აბრამიშვილის ბინაზე, ერთი საათის შემდეგ სახლში შევიდა ორი ყაჩაღი, ერთი ქუჩაში დარჩა, როდესაც შიგ შესულ ყაჩაღებს დაპატიმრება მოუნდომეს მათ სროლა ასტეხეს, მილიციელებმა და თვით მილიციის უფროსმა პ. ჩაჩავამ სროლითვე უპასუხეს, ერთი ყაჩაღთაგანი ეცა ჩაჩავას ხელით დაუწყო ბრძოლა და რომ ვერაფერი გააწყო ხელზე უკბინა, მაშინ ჩაჩავამ კისერში ესროლა მაუზერი და იქვე მოკლა, სროლის დროს მოკლეს მეორე დამცემი ცნობილი ძველი ყაჩაღი კურცხალია, ქუჩაში მყოფი მე-3 დამცემი მიიმალა, მოკლული ყაჩაღი ბეზერაშვილი ერთ დროს სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში და დაცემის დროს სტუდენტის ფორმაში იყო გამოწყობილი.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდროვის ბაღში) კავკასიის თავისუფალ მოაზრეთა კავშირის მიერ გაიმართება დისპუტი «ებრაელთა საკითხი, მისი მომავალი და ქრისტიანების შეხედულება ამაზე“, მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი კორინთელი, რუვიმ ცხოლკაჩენკო და სხვანი.

◆ **მეტეხში** ტფილისის საპყრობილეთა ინსპექციის ხებართვით ორშაბათს, აგვისტოს 19 მეტეხის საპყრობილეს ტაძარში სადაც ასვენია წმ. შუშანიკის გვამი, გადახდილ იქნები წირვა. ეკლესია ღია იქნება მლოცველთათვის დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

# საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიაში.

რადგან დღეს საღამოს დანიშნულია ფრაქციის საგანგებო სხდომა, ამიტომ ამხ. ს. მდივანი მოხსენებას „ეროვნული საბჭო და მისი მუშაობა“ წაიკითხავს აარტიულ კლუბში სამშაბათს 20 ამ თვეს (ნაცვლად დღევანდელ დღისა).

# ქურდმა ერთი ცოდო ქმნა დამკარგავმა ცხრა

ჩვენი სახელმწიფოს მტრები შეგვიძლიან დავყოთ ორ მთავარ კატეგორიად: ერთს შეადგენენ კონტრ-რევოლიუციონერები და საქართველოს წინააღმდეგ აშკარად მებრძოლნი. ეს კატეგორია თავის მოქმედებას და სიტყვას ახვევს იდეურობის სამოსელში.

მეორეს შეადგენენ მპარტველები, სახელმწიფო ქონების ქურდები, მექრთამეები. ესენი იდეურობას არ დაგიდევენ, თუმცა ხშირად ასაღებენ თავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეებად. ორივე კატეგორიის პირნი ქართველი ერის კეთილდღეობას, საქართველოს სახელმწიფობის იდეას ძირს უთხრიან, აფერხებენ მტკიცე უფლებრივ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოქნას.

ხალხის ნებისყოფის გამომხატველი ჩვენი ახალგაზდა მთავრობა მოვალეა ფხიზელ დარაჯად იდგეს თავის პოსტზე და საქართველოსი და მისი დემოკრატიის ყველა ჯურის მტერს თავისი ბინა უჩვენოს და შესაფერი სასჯელი მიუზღოს.

ამ საქმეში უნდა იყვეს მტკიცე, მკაცრი, დაუნდობელი და ამავე დროს სამართლიანი.

საქართველოს ყოველი შეგნებული მოქალაქის მოვალეობა არის, დაეხმაროს მთავრობას ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებთან ბრძოლაში.

ნურავინ იტყვის: მე მოვალე არა ვარ ვაკეთო ის, რაც მთავრობისა და ადმინისტრაციის დანიშნულებას შეადგენსო.

ამის თქმა ახლა, როცა კაცმა არც კი იცის, საქართველოს ტერიტორიაზე მტრის რიცხვი უფრო დიდია თუ მოკეთისა, მარტო შეუგნებელს თუ შეუძლიან.

ყველა სინიდისიერი მოქალაქის მოვალეობა არის, გამოამჟღავნოს ყოველგვარი განზრახვა, ყოველგვარი მოქმედება, რაც კი მიმართული იქნება ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

იქნება ეს შეიარაღებული გამოსვლის დაპირება, სახელმწიფო ქონების გაქურდვა, მექრთამეობა თუ სხვა—სულ ერთია.

მაგრამ ჩემი წერილის მიზანი მარტო ამ გვარი ხასიათის მოწოდება არ არის.

ამ ბოლო დროს მრავალი მექრთამე იქმნა აღმოჩენილი და სახელმწიფო ქონების გამქურდველი.

თამამად შეგვიძლიან ამ უკანასკნელს ორიოდე კვირას უწოდოთ:

მექრთამეობასა და სახელმწიფო ქონების გაქურდვასთან ბრძოლის ხანა.

და არ იქნება სიმართლეს მოკლებული, თუ ვიტყვით: ამ ბრძოლაში მთავრობას დახმარება აღმოუჩინა მრავალმა კერძო პირმაც.

მაგრამ სწორედ აქ უნდა გავაფრთხილო პიროვნების მამხილებელნი.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსომოს ყველამ: რაც უნდა დიდს საქმეს აკეთებდეს კაცი, ყველგან და ყოველთვის გამსჭვალული უნდა იყვეს ადამია-

# აგრარული საკითხი საქართველოში

(შემდეგი)

ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობა ინტენსიფიკაციის გზით მიდიოდა და მიდის ეხლაც. ჩვენ ავიღებთ ხორბლეულობის უმთავრეს დარგის—პურის კულტურას. თითო დესეტინაზე აუღიათ ფუთი პური *)

| | ავსტრიაში | ინგლისში | ბელგიაში | ჰოლანდიაში | ჰუნგრეთში | გერმანიაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1901 წელს | 83 | 144 | 126 | 145 | 74 | 126 |
| 1905 „ | 88 | — | 134 | 145 | 79 | 134 |
| 1910 „ | 86 | 142 | 130 | 152 | 87 | 130 |
| 1913 „ | 89 | 148 | 157 | 160 | 88 | 157 |

პროგრესის ნიშნები ცხადად ეტყობა ხორბლეულის კულტურას, რომელიც ტერიტორიალურადაც ფართო ხასიათს იღებს, განსაკუთრებით ახალ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ეს ერთი დარგის დაწინაურება ამდენადვე გვიმტკიცებს ჩვენ საერთოდ სოფლის მეურნეობის დაწინაურებას. სოფლის მეურნეობის დაწინაურება და ინტენსიურ წარმოების დაწყება ექტენსიურ წარმოების მაგიერ ეხლა სადავო საკითხად არ არის გადაქცეული, გასარკვევია მხოლოდ განვითარების საშუალებანი და ფორმები, რომელნიც იქნებიან განვითარების პროცესში. პროცესის და ფორმების შესასწავლად ჩვენ ალვნუსხავთ შემდეგ გარემოებას: ამავე წლებში მიწადმოქმედებისათვის საჭირო ტექნიკური იარაღები აბსოლიუტურად სრულიად არ შემცირებულა. პირიქით, ჩვენ ვხედავთ საერთოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღების საოცარ გამრავლება-გავრცელებას. საილუსტრაციოთ ჩვენ ავიღოთ რუსეთის ცხოვრების მაგალითი. ეს ქვეყანა ტიპიური სამშობლოა ექსტენსიურ სასოფლო მეურნეობისა, განვითარების პირველ საფეხურზე სდგას რუსეთი და ტიპიურ სურათს გვაძლევს საზოგადოდ მეურნეობის განვითარებისას. რუსეთში შემოუტანიათ და ადგილობრივ დაუმზადებიათ სამეურნეო მანქანა სულ მილიონ მანეთის: **)

| | | შემოუტანიათ | დაუმზადებ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1905 | წელს | 15,0 | — | — |
| 1906 | „ | 18,3 | 20,0 | 38,3 |
| 1907 | „ | 20,0 | 24,0 | 44,0 |
| 1908 | „ | 24,6 | 29,6 | 54,2 |
| 1909 | „ | 37,6 | 35,0 | 75,9 |
| 1910 | „ | 39,6 | — | — |

სამეურნეო იარაღები რუსეთს შემოაქვს უმთავრესად გერმანიიდან, შემდეგ ამერიკიდან, აგრეთვე ინგლისიდან, ავსტრო-ჰუნგრეთიდან, შვეციიდან, ბელგიიდან და სხვა ადგილებიდან. სულ რუსეთს მიუღია სხვა და სხვა ტეხნიკური სამეურნეო იარაღი:

1903 წ. — 4,4 მილ. ცალი
1904 „ — 3,9 „ „
1905 „ — 3,6 „ „
1906 „ — 3,8 „ „
1907 „ — 4,7 „ „
1908 „ — 4,2 „ „
1909 „ — 6,3 „ „
1910 „ — 6,7 „ „
1911 „ — 9,2 „ „
1912 „ —10,5 „ „

ჩვენ ვამბობდით და დავეთანხმეთ გერმანულ რევიზიონიზმს და რუსეთის ნაროდნიკულ სკოლას, რომ მეურნეობის ინტენსიფიკაცია მანქანებს აძევებს სოფლიდან, რუსეთში კი ინტენსიფიკაციაც ხდება და მანქანების გამრავლება! მცირე ყურადღებაც რომ მივაქციოთ მოყვანილ ცნობებს ჩვენ ერთ რამეს უეჭველად ვიტყვით: რუსეთში მანქანა თან და თან დიდ ადგილს იჭერს და სწრაფი ნაბიჯით ხდება სოფლის კაპიტალიზაცია. მაგრამ დიდ პოლიტიკურ-ეკონომიურ უვიცობას და სტატისტიკურ თაღლითობას დავიჩემებთ, თუ ... საერთო ცნობებს კბილები არ გაუსინჯეთ. ყველასათვის ძალიან კარგად არის ცნობილი, რომ სოფლის კულტურისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის მფლობელობის ფორმას. მიწის მფლობელობის მხრივ კი რუსეთში ბატონყმობის შემდეგ დიდი ცვლილება რუსეთის რევოლიუციამდე არ მომხდარა და ძალიან დიდი ადგილი აქვს დაჭერილი მსხვილი მიწის მფლობელობას, რაიცა ძალიან უწყობს ხელს ზოგიერთ ხასიათის ტეხნიკურ მანქანის გავრცელებას. თან და თან ვითარდება სოფლად მანქანის ძალა, მიწა-ადგილიც სრულიად საკმაოა რუსის ხალხისათვის (დათესილ ყოველ ათ დესეტინაზე რუსეთში მოდიოდა მცხოვრები 6 სული, ამერიკაში—12 სული, ბელგიაში—102, ინგლისში—141 ხოლო ნორვეგიაში—154), მაგრამ მაშინ, როდესაც დესეტინაზე საშუალოდ პური მოდის ბელგიაში 140 ფუთი, რუსეთში კი მოდის 40 და 45 ფუთი საშუალოდ. აშკარაა, რუსეთის მანქანების ძალა, მისი ნაყოფი უფრო სტატისტიკურ ცხრილებს ამშვენებენ, ვიდრე სახალხო მეურნეობას, მაგრამ თავი გავანებოთ ამ ფაქტს. დავაკვირდეთ მანქანების იმპორტს (უცხოეთიდან შემოტანას) და გავიგოთ რა ჯურის მანქანას ეტანება მუშა ხალხი რუსეთის სასოფლო მეურნეობას ხორბლეულის კულტურისათვის არა თუ თავი არ გაუხეებია ჯერ, მთელი ძალა რუსეთისა დღესაც პურის მოსავალშია. უფრო მაღალ ფასიან სამეურნეო სამრეწველო მცენარეებისათვის—რომელთათ ძალიან დიდი ნიადაგი აქვსთ რუსეთში ჯერ კიდევ ყურადღებაც არ მიუქცევია რუსის ხალხს და ბოლო დრომდე ამ მხრივ ფრიად მცირე რამე არის გაკეთებული. ყოველ ამ ნათქვამს მანქანის მოძრაობის სტატისტიკა საუცხოვოდ გვიმტკიცებს. მდვილად რომ წარმოვიდგინოთ თუ რა მანქანა რამდენ ადგილს იჭერს რუსეთის სოფლის მეურნეობაში, ჩვენ საერთო ცნობებს მოვაქცევთ პროცენტებში. ამ ნაირად, შემოუტანიათ რუსეთში:

| | ჩვეულ. სახნისი | ორთქლ. მოძრ. სახნისი | ჩვეულებ. საფარცხ. |
|---|---|---|---|
| 1903 წ. | 16,0% | — 0,002% | — 0,1% |
| 1906 წ. | 16,6 „ | — 0,002 „ | — 0,1 „ |
| 1909 წ. | 14,7 „ | — 0,008 „ | — 0,3 „ |
| 1912 წ. | 6,2 „ | — 0,06 „ | — 0,4 „ |

| | სალეწი მანქანა | სათესი | ლაკომ. რთული სალ. და ორთქ. სახნისი | რთული სალეწი მანქანა |
|---|---|---|---|---|
| 1903 წ. | 0,4% | — 0,7% | 1,6% | — 1,3% |
| 1906 წ. | 0,2 „ | — 1,3 „ | 0,8 „ | — 1,3 „ |
| 1909 წ. | 0,3 „ | — 1,1 „ | 0,8 „ | — 0,6 „ |
| 1912 წ. | 0,2 „ | — 5,6 „ | 0,7 „ | — 0,5 „ |

ამ მეტად საგულისხმიერო ცნობიდან მხოლოდ ერთი ლოღიკური დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: რუსეთის მეურნეობაში უმთავრესად ფეხს იკიდებენ ისეთი მანქანები, რომელნიც მარტივი აგებულობის, სადა კონსტრუქციის არიან და საჭიროა სამეურნეო მეურნეობის პირველ საფეხურისათვის, როდესაც თავდება ექსტენსიური მეურნეობის ხანა და იწყება ინტენსიური მეურნეობა. ტეხნიკის გაუმჯობესობა სიახე მიწის გადაბრუნების საქმეში, ადგილ-მდებარეობა რუსეთისა ხელს უწყობს ხორბლეულობას და ორთქლის ძალის გამოყენება აქ შედარებით ადვილია, ამიტომ ორთქლის ძალით მოძრავი სახნისი თითქმის ყველა სხვა ტეხნიკურ იარაღზე მეტად ვრცელდება, მაგრამ უფრო რთული კონსტრუქციის მანქანა და ისიც სამეურნეო შრომის ბოლოს გამოსაყენებელი რთული სალეწი მანქანა და სხვა არა თუ არ გავრცელებულა, პირიქით, შემცირებულა 1,6%-დან 0,7%-მდე და 1,1%-დან 0,5%-მდე. ეს სინამდვილე გვიაშკარავებს, რომ როდესაც რუსულ მეურნეობის კაპიტალიზაციას მივაქცევთ ყურადღებას—გვაარავებს დიდი სიფრთხილე და მანქანების გავრცელების საერთო სურათით პირადი სურვილები უნიადაგო ილიუზიას არ გავატანოთ.

თედო ღლონტი.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „Сборникъ статистико-эконом. св. по с. хоз Россіи и иностр. гос. გვ. 116, 1916 წ. ამ წყაროს გამოვიყენებთ ქვევით.

**) იხ. „Международный статист. ежегодникъ, გვ. 116.

...ნის პიროვნებისა და ღირსების ღრმა პატივისცემით.

ქურდის, მძარცველის, მექრთამის მხილება და დასჯა აუცილებელია. მაგრამ გავფთხილდით და უდანაშაულოდ ჩირქს ნუ მოვცხებთ პატიოსანს და სინიდისიანს კაცს.

ასეთი რამეც სამწუხაროდ ხშირადა ხდება ხოლმე.

სახელმწიფოს შეგნებული და ერთგული მოქალაქის ალღო და ალღო მორალურად განვითარებულის, პიროვნების ღირსების შემგნები ადამიანისა დაე სწორი მოკარნახე იყვეს ყველა იმ მოქალაქისა, რომელიც თავის წვლილის შეტანას მოისურვებს სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ნარ-ეკლის გაკაფვის დროს.

თორემ შეიძლება ბოროტმოქმედის ერთს ცოდოს, ბოროტების მდევნელთა მრავალი ცოდო დაერთოს.

გ. ეგნატაშვილი.

# ბაქოს ამბები

ბაქო უდიდეს სამრეწველო ცენტრად ითვლებოდა მთელ რუსეთში და მეუმრავლესთა „მომხიბვლელმა" ლოზუნგებმა აქ მადლიანი და ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა, ჯერ უმთავრესად ჯარისკაცებმა, ბაქოს გარნიზონი და მეზღვაურები, რომელნიც წინედ ესერებს უჭერდნენ მხარს, გაიტაცა მეუმრავლესთა ყალბის ფერმა დაპირებებმა, შემდეგ მუშებიც საერთო ფეხის ხმას თანდათანობით აყვნენ, ბაქოს გარნიზონის გაუმრავლესობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მუდმივ, სტუდენტს პრაპორშჩიკს ვინმე ავაკიანს, რომელიც ჩვეულებრივი დაბალი ღირსების სოციალ-დემოკრატიული დემაგოგიით თავისუფლების მოედანზე ბლომად შეკრებილ ჯარისკაცებს მეუმრავლესთა ბანაკისაკენ მოუწოდებდა.

ამ ვაჟბატონის სამგმირო საქმენი პრესის საშუალებით გამოამჟღავნეს მისმა ნაცნობებმა, რომელიც თურმე ჟამსა მეფობის ძლიერებისასა „ნეტარხსენებულ" ნიკოლოზისთვის უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადებას დიდ ბედნიერებად სთვლიდა, ავაკიანის ბნელმა პიროვნებამ მეუმრავლესეთა მეთაურები პირველ ხანებში იძულებულ ჰყო იგი პარტიის გარეშე გამოეცხადებინათ. ხოლო პარტიის წინაშე თვალსაჩინო სამსახურებმა მალე დავიწყების ბურუსში გახვია ავაკიანის წარსული ცხოვრება და მეუმრავლესობამ ნათელი სხივებით შემოსა მისი ბნელი პიროვნება. მადლობის ნიშნად იგი ჯერ გარნიზონის უფროსად დანიშნეს, შემდეგ ქალაქის უფროსად წამოასკუპეს. ამნაირად ბაქოშიაც ისე, როგორც მთელ რუსეთში, ბოლშევიკთა და მემარცხენე ესერების გარშემო შემოკრბენ ყველა ჯურის ავანტიურისტები, ნაძირალები და საზოგადოების უარყოფითი ელემენტები.

მეუმრავლესნი ბაქოში წარსულ შემოდგომიდანვე საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ. ხოლო ქალაქის და მით უფრო გუბერნიის მართვა-გამგეობის საქმე მათ ხელთ არ ეპყრათ სხვა და სხვა დაწესებულებათა უმრავლესობა ამიერკავკასიის საერობო მთავრობას ემორჩილებოდა. ამგვარად ბაქოში ორმთავრობიანობას განვიცდიდით—მეუმრავლესობისას და ამიერკავკასიის მთავრობისას.

ბოლშევიკებს შეეძლოთ მთელი ძალაუფლება ერთბაშად ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ უმთავრესად მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ჯაფარიძის შეოხებით, რომელიც გამოსვლებს და მის თანამგზავრს სისხლისღვრასა და ექსცესებს ერიდებოდა, ეს არ მოხდა. იგი ცდილობდა ძალა-უფლება ბოლშევიკთა ხელში სისხლ დაუღვრელად თანდათანობით გადასულიყო. ამ ხნის განმავლობაში ქალაქის მცხოვრებთ, ეგრედ წოდებულ „ობივატელებს", ბოლშევიკების მოსალოდნელი გამოსვლა და მასთან დაკავშირებული ექსცესები ძილს უფრთხობდა და შიშის ქვეშ ამყოფებდა. ამის მიუხედავად ბოლშევიკები არ გამოდიოდნენ და მცხოვრებთა შორის გავრცელებული ჭორები არ მართლდებოდა.

დღეს პრესაში ხშირად შეხვდებით და ზეპირადაც გაიგონებთ საყვედურს და სინანულს იმ ფრთხილ და მორიდებული პოლიტიკის გამო, რომელსაც ბაქოს ბოლშევიკები წინედ აწარმოებდნენ. მათი აზრით დაუნდობელი და გაბედული მოქმედება საშუალებას მისცემდა მათ მთელი ამიერკავკასია ბოლშევიკთა საბრძანებლად გადაექციათ და ეგზომ საწადელი და სანატრელი განზრახვა მათი სისრულეში მოეყვანათ.

ბაქოს ბოლშევიკების შედარებით ფრთხილ პოლიტიკას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც მათი უმთავრესი ხელმძღვანელი გეზისა და ტონის მიმცემი დასახელებული ჯაფარიძე იყო. ამიერკავკასიის საგანგებო კომისარს, ცნობილს შაუმიანს მაშინ ბაქოსთვის არ სცალოდა. ის ხან ტფილისში და ხან სარაყამიშის ფრონტზე ჯარისკაცებს ემუდარებოდა ამიერკავკასიის მთავრობის დამხობასა და მის ნანგრევებზე თავისი ბატონობის განმტკიცებაში დახმარებოდნენ. ხოლო როდესაც იმედები მწარედ გაუცრუვდა და მის სურვილებს ფრთები შეეკვეცა, იძულებული შეიქმნა ბაქოსაკენ ლტოლვილიყო და თავის მოქმედების ბაზად, ბაქო გაეხადა.

აქვე უნდა მოვახსენოთ, რომ შაუმიანი ნიჭიერი და მომზადებული პიროვნებაა, იგი იმ ტიპის ბოლშევიკებს ეკუთვნის, რომელთათვის მიზნის მისაღწევად ყოველი საშუალება ნებადართულია და დაზოგვა და შებრალება მისთვის არ არსებობს. ამავე დროს იგი თავის ერის შვილად გრძნობს თავს და თავის ხალხის აჟკარგი აფიქრებს და აინტერესებს. აქ საკვირველი და საძრახისი არაფერია, პირიქით, მოვლენა იგი ბუნებრივია სად ადამიანში სად ეროვნულ გრძნობებს ვერავითარი მოძღვრების დოგმები ვერ ჩაკვლენ და ასეთ ადამიანისთვის ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ესა თუ ის მოვლენა ყოველთვის ეროვნულ გრძნობების უხილავ სიმებს გარემოების შესაფერად აჟღერებს. ხოლო დასაძრახისი და გაუგებარი ის არის, როდესაც სიტყვით უაღრესი ინტერნაციონალისტი თავის ერის ბედნიერებას სხვა ერის უბედურებაზე ლამობს აგოს, რასაც ხშირად შაუმიანს მიაწერენ ხოლმე და რაშიაც მე პირადად დარწმუნებული არა ვარ.

ტფილისიდან კუდ ამოძუებული შაუმიანი თავის ძველ საბრძანებელს ბაქოს ესტუმრა და თავიდანვე შეურიგებელი პოლიტიკის წარმოებას შეუდგა, შაუმიანის ჩამოსვლის შემდეგ მალე მარტის ამბებიც დატრიალდა, რომელმაც გამოურკვეველი მდგომარეობას, ორმთავრობიანობას ბოლო მოუღო და ბოლშევიკთა უფლება მოსილება დაამკვიდრა.

მაგრამ ვიდრე მარტის ამბებზე შევჩერდებოდე, ბაქოს მუშათა საბჭოში არსებულ ძალთა განწყობილებას და ფრაქციათა შორის დამყარებულ ურთიერთობას მინდა შევეხო.

მუშათა საბჭოს შემადგენლობა შემდეგი იყო: ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები, მენშევიკები, მემარჯვენე ესერები, დაშნაკელები და მუსავატი.

მუსულმანთა დიდი პარტია „მუსავატი" საბჭოში საკმაო ძალას წარმოადგენდა და მასთან კეთილგანწყობილების დამყარებას და მის გულის მოგებას ყველა ცდილობდა. თვით „მუსავატი" ყიზილბაშურ პოლიტიკას აწარმოებდა: ნახევრად რეაქციონური პარტია ბოლშევიკებს ეალერსებოდა და ხშირად მხარს უჭერდა, ან და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, რომლის შესახებ არ შეიძლებოდა სერიოზულ პარტიას ესა თუ ის გადაჭრილი აზრი არ ჰქონოდა, თავს იჭერდა, თავის შეხედულების გამომჟღავნებას ერიდებოდა. ბოლშევიკებიც თავის მხრივ „მუსავატის მეგობრობას აფასებდნენ და შესაფერ „ალერს" არ აკლებდნენ.

ეს გარემოება იმ ხრით არის საყურადღებო, რომ ბოლშევიკები ტფილისელ მენშევიკებს, სეიმში მუსავატთან შეთანხმებულ მუშაობას ხშირად უსაყვედურებენ ხოლმე და თავის ამგვარივე ქცევა ბაქოს საბჭოში არ აგონდებათ. მართალია დღეს ბაქოს საბჭოდან „მუსავატი" განდევნილია, მაგრამ ამ ჟამად არც მენშევიკებს აქვთ მუსავატთან მამაშვილური დამოკიდებულება.

დაშნაკელები, როგორც მოგეხსენებათ, გულწრფელ მოქმედებას საზოგადოდ ჩვეულნი არ არიან და აქაც თავის ბუნებისათვის არ უღალატნიათ. მეუმრავლესეთა შეურიგებელი მოწინაალმდეგენი თანდათანობით ერთმანეთს უახლოვდებიან და ამ ჟამად არ იცით, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. ბოლშევიკების საბრძანებელ ბაქოში მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი დაშნაკელია. ერთი სიტყვით ეს ორი დიამეტრალურად სხვა და სხვა ნაირად მოაზროვნე პარტია დღეს სავსებით ერთნაირად აზროვნებს და ერთად მოქმედებს.

მთელი ადგილობრივი სომხობა მემარცხენეებიდან დაწყებული ვიდრე უკიდურეს რეაქციონერამდე ყველა ბოლშევიკია და სიტყვითა და საქმით მისი მედგრად დამ ველია. ამ ხალხმა თავის ბეცი პოლიტიკით ყველა გზები მოიჭრა, ორპოფული და ორმაგი უტაქტო მოქმედებით ყველა მოიმდურა და ერთადერთ ხსნას ბოლშევიზმში ხედავს და წყალწაღებულივით მას ეჭიდება.

ბაქო ამ ბოლო დროს უცნაურობის ქვეყნად გადიქცა, ერთ ასეთ უცნაურობად უნდა ჩაითვალოს ბოლშევიკების და მემარჯვენე ესერების, საერთო თანხმური მუშაობა. მაშინ როდესაც ერთის გამარჯვება მეორეს დამარცხებას მოასწავებს, მუსულმანების და ბოლშევიკების შეტაკების დროს მემარჯვენე ესერები მათ ამოუდგნენ გვერდში და მათთან ერთად იბრძოდნენ. ამას ერთის მხრით იმითაც ხსნიან, რომ ბაქოში მემარჯვენე ესერების ხელმძღვანელები უმთავრესად სომხები არიან. მათი ბელადი საქო საჰკიანი ბრძოლის დროს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, დასისხლიანებული თვალებით და გაფთრებული სახით ჯაფარიძემ რომ დაინახა, ღიმილით სამართლიანად შენიშნა: საქო, საქო, დღეს შენ ინტერნაციონალიც დავიწყებული გაქვს, სოციალიზმიც აღარ გახსოვს და მთელი შენის არსებით მხოლოდ და მხოლოდ სომეხი ხარ"!..

თვით ზომიერი რუსების და არა რუსების ჭრელი საზოგადოება, რომელნიც პოლიტიკურ საკითხებში ხშირად უაღრესად რეაქციონერები და ბოლშევიკების მოძულე დაუძინებელი მტრები არიან, ამიერკავკასიის მთავრობის და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის ხსენებაზე ყალყზე სდგებიან, ფერს იცვლიან და მოულოდნელად მეუმრავლესეთა თვალსაზრისზე სდგებიან. ამ უცნაურობასაც თავისი ახსნა აქვს: დასახელებული საზოგადოება ვერ შერიგებია ყოფილ დიდი რუსეთის ამა თუ იმ კუთხის დამოუკიდებელ არსებობას და ცხოვრების ყოველ სფეროში თანასწორობის დამკვიდრებას, რაც მათ ბატონობას და თავგასულ ფარფაშს ბოლოს მოღებას უქადის. „ბოლშევიზმი" დღეს რუსეთის მთლიან სახელმწიფოებრივ იდეის მატარებლად მიაჩნიათ და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევებში მას ებღაუჭებიან.

(შემდეგი იქნება).

მ. კაკაბაძე.

# საყოველთაო სწავლება

(დასასრული)

**ახალი ზელანდია.** 1877 წლიდან ახალ-ზელანდიაში დაწყებითი სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაშია. სკოლებს მთავრობა ინახავს და თითოეულს მოწაფეზე ხარჯავს 35 მან. 6 კ. ამას გარდა მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს სკოლის შენობაზე და ინსპექციაზე. ახალი-ზელანდია ოლქებად არის დაყოფილი, თითეული ოლქი დაყოფილია პატარ-პატარა სასკოლო ოლქად. ყოველს სასკოლო ოლქში მესაკუთრე მცხოვრებნი ირჩევენ სასკოლო კომიტეტს. სასკოლო კომიტეტი ირჩევს განათლების ბიუროს, რომელიც ირჩევს ოლქის ინსპექტორებს და მასწავლებლებს. მასწავლებლის დანიშვნისა და დათხოვნის დროს ბიურო შეეკითხება ადგილობრივს კომიტეტს. განათლება ახალ-ზელანდიაში უფასოა და სავალდებულო 7—13 წლამდის. ქალვაჟნი ერთად სწავლობენ. სასწავლო საგნებია: კითხვა, წერა, არითმეტიკა, ხატვა საუბარი, ინგლისური გრამატიკა, ინგლისური თხზულებანი, ინგლისის გეოგრაფია, ბუნების მეტყველება.

მთელს დასავლეთ ევროპას, გარდა ესპანიისა, იტალიისა და ოსმალეთისა შემუშავებული აქვს განსაზღვრული ტიპი სასკოლო კანონმდებლობისა განათლების ცენტრალური სისტემით, ბურჟუაზიულის მიმართულებით ან ზოგიერთის ტენდენციით დემოკრატიზმისკენ საფრანგეთში გატარებულია სკოლის სრული ცენტრალიზმი, ნაკლების ხარისხით იგივეა შვეიცარიაში და უფრო ნაკლები გერმანიაში და ავსტრიაში სასკოლო კანონმდებლობის სისტემაში განსხვავებას წარმოადგენს დანია, შვეცია, ნორვეგია და ფინლანდია. იქაურმა ცხოვრების პირობებმა ცენტრალიზაციის ცხოვრებაში სრულად გატარება შეუძლებელი გახადეს. ამ ქვეყნების დემოკრატიზმა ბევრით გაასწრო საფრანგეთისას და სხვებსაც რის გამო ფინლანდიაში სახალხო განათლება ისე სამაგალითოდ არის მოწყობილი, რომ მას ადრე თუ გვიან ფართო გავრცელება მოელის ყველგან.

ინგლისში სრული დეცენტრალიზაციაა გატარებული, როგორც შედეგი ინგლისის ცხოვრების წესწყობილებისა, რომელიც დამყარებულია სახელმწიფოს არა ჩარევის პრინციპზე. ამერიკაში ავსტრალიის ზოგიერთ ახალშენებში სკოლის დეცენტრალიზაციის პრინციპი სახელმწიფოს მიერ ნივთიერ დახმარებასთან და საუკეთესო მეცნიერთა ხელმძღვანელობასთან არის შეერთებული.

როცა ყველა არსებულ განათლების სისტემებს ერთმანეთს უპირისპირებ და ითვალისწინებ, უნებლიედ დაგებადება საკითხი—რომელი მათგანია საუკეთესო და ხელსაყრელი ჩვენი ერისათვის. ჩვენის ღრმა რწმენით სრული ცენტრალიზაციის გატარება ჩვენთვის ბევრად ნაყოფიერი არ იქნება, რადგანაც ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეს მკვიდრნი ხასიათით და ზნე-ჩვეულებითაც განსხვავდებიან, ამიტომ სასკოლო საქმეში, რომ განათლება ეროვნულს ნიადაგზე უკეთ მოეწყოს, ადგილობრივ ელემენტსაც ფართო ადგილი უნდა დაეთმოს. ამას გარდა სრული ცენტრალიზაციის გატარებას ადვილად მოჰყვება ის, რომ სკოლა შეიძლება გახდეს პარტიული ბრძოლის იარაღად, რადგანაც მთავრობაში უეჭველია, სხვა და სხვა პარტიული რწმენის ხალხი მოჰყვება. სრული დეცენტრალიზაციაც, თუ ადგილობრივი სახსარი სკოლის შესანახად საკმაო არ იქნა, სიცხოველეს ვერ გამოიჩენს სასკოლო საქმეში. ამიტომ ყველაზე საუკეთესოდ ის სისტემა იქნება, სადაც განათლება პარტიული გავლენისა და შეხლა-შემოხლის გარეშეა და არ ემორჩილება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. საუკეთესოდ ისეთი სისტემა მიგვაჩნია, რომელიც სამაყო და სამკვიდრო მთელი ერისა, მთელი ნაციისა. ასეთია ამერიკული სისტემა, რომელიც აღიარებს ყოველ მოქალაქის სრულს უფლებას, რომ ყველამ მიიღოს განათლება სრული თავისუფლებისა და სახელმწიფოს, სამშობლოს მოვალეობის საფუძვლებზე და მიეცეს ყველა მოქალაქეს ყოველგვარი საშუალება განათლების მისაღებად. *)

ლ. ბოცვაძე.

*) წყაროები. Э. Левассера — Народное образованіе въ цивилизов. странахъ Энциклоп. сл. Брокгауза и Эфрона Журналъ „Учитель" за 1907 г. ст. К. М.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**განცხადება** საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო აგვისტოს 10 დან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგნაირად.

ტფილისიდან გასვლა:

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| " | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| " | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/3c | დღის | 1 | — |
| ტფილისში მოსვლა: | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. | 12 | 47 |
| " | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 58 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| " | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4c/3 | დილის | 11 | — |

ტფილისის დროით.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შემხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის ესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450.

ქუთაისში

**ექიმი** ვ. ჟორჟაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ქ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან, ქირურგიული და ქალთა სნეულებების საავადმყოფო [illegible] ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე [illegible] 248

**ექიმი** ი. კ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების სასუნთქისა ფილტვების აჰკისა, გულის და ძირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექის სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86 127

**ექიმი** დ. ზარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა № 7. 213

**ექიმი** ვ. მუხაძლიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 121

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა № 41. ტელეფ. 14—09. 103

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 100

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**ქალთა მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. [illegible] № 7 ტელეფონი 17-49. 11

**ექიმი** ა. ლ. შალამბერიძე იღებს ბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 10

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ფურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვისა, სიბერით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვრ. აფთიაქის გვერდით. 624

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ალოს კინო-თეატრის მახლობლად). მიღება და საოპერაციო ავადმყოფები სრული სიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

**ბუღალტერიისა და კომერციულ ცოდნათა კურსები ქართულ ენაზე**
კურსები სამ-თვიანია. სწავლა და წიგნების წარმოება ქართულად. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნები მიიღება საღ. 5—7 საათამდე. ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, საბუღალტრო კურსები ნ. აბრამიანისა. 1276

**ბორჯომის წყალი** ერთად-ერთი წარმომადგენელი ბორჯომის მინერ. წყლებისა ი. ე. დოლიძე ქ. ტფილისში ამით ვაცხადებ პატივცემულ მუშტართა საყურადღებოდ, რომ ნარდად მიიღებს ბორჯომის წყალს გაწვდი ყუთობით 2 მანეთად ბოთლს (ყუთში 50 ბოთლია). მთავარი საწყობი: ელიზაბედის ქუჩა 174. განყოფილება ველაბარში, კახეთის ქუჩა 17. 876